



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 063/19<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე კაკიაშვილი (სტუდენტი)

### ფაქტები

მომჩივანი ადვოკატი და მოპასუხე ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე წარმოადგენდნენ სხვადასხვა მხარის ინტერესებს. სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორმა მოპასუხე ადვოკატს უწოდა „უსირცხვილო“, რის შემდეგაც მოპასუხე ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს უწოდა „უსირცხვილოები“ და „ყაჩაღები“. სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერის მიხედვით საჩივრის ავტორს მოპასუხე ადვოკატმა მიმართა შემდეგი სიტყვებით: „იმდენი გვერდი არ აგიდგეს, უსირცხვილო, უსირცხვილო ადამიანი ხარ მართლა“, ხოლო ამის შემდეგ საჩივრის ავტორს „უსირცხვილო ყაჩაღი“ უწოდა. ამასთან დაკავშირებით კი მოპასუხე ადვოკატმა განმარტა, რომ მან მხოლოდ ერთხელ უწოდა „უსირცხვილო“, რაც გამოწვეული იყო მომჩივანი ადვოკატის მიერ მის მიმართ არაერთგზის გაჟღერებული არაეთიკური ფრაზებით.

### სამართლებრივი შეფასება

ადვოკატის მიერ წარმოთქმული სიტყვები შეფასდა კოლეგიალობის ღირებულების ფარგლებში და კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატი ვალდებულია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს კოლეგისადმი ღირსეულ დამოკიდებულებას, მის პატივისცემას, კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, შესაბამისად აღნიშნული პრინციპი ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მოპასუხე ადვოკატმა მოსარჩელე ადვოკატს უწოდა „უსირცხვილო“ და ასევე მიმართა შემდეგი ფრაზით - „იმდენი გვერდი არ აგიდგეს, უსირცხვილო, უსირცხვილო ადამიანი ხარ მართლა“. ადვოკატის მიერ კოლეგის მიმართ წარმოთქმული ფრაზა - „უსირცხვილო, უსირცხვილო ადამიანი ხარ“ შეფასდა აზრის კონტექსტში გადმოცემულად. თავის მხრივ, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, თუმცა იგი შეიძლება შეიზღუდოს, თუკი გადმოცემულია უხამსი ფორმით ან/და შეიცავს პირისპირ შეურაცხყოფას. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებით, რომლის შეზღუდვაც რიგ შემთხვევებში დასაშვებია ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში. სწორედ ასეთი ლეგიტიმური მიზნებია ადვოკატის როლის განმტკიცება, ადვოკატის პროფესიის დაცვა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაღრმავება. კომისიამ მიიჩნია, რომ განსახილველი ფრაზა სცდება აზრის თავისუფლების ფარგლებს და ზიანის მომტანია არამართო ამ სიტყვების ადრესატისთვის, არამედ, ასევე ადვოკატის პროფესიისათვის. კომისიამ ასევე განმარტა ადვოკატის საქმიანობის მიზანი და მიუთითა, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკური ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩენა. „უსირცხვილო ადამიანით“ მიმართვა არ გამომდინარეობდა პროფესიული ვალდებულების შესრულებიდან და ამგვარი გამონათქვამები არ არის იმ მიზნის პროპორციული, რასაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება ჰქვია.

### დასკვნა

კომისიამ დარღვეულად მიიჩნია კოლეგიალობის პრინციპი და ადვოკატს დისციპლინური ზემოქმედების სახედ განუსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5fe233f92e14f.pdf/063.19%20kerzo%20sarekomendacio%2005.10.2020.pdf>